სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, გოჩა შანშაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ტიბაანის, ქვემო მაჩხაანის, ხირსისა და ხორნაბუჯის მაჟორიტარულ ოლქში. ასევე ვარ საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, ვესწრებოდი 13-ს. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება" - 10 სხდომა, ვესწრებოდი - 9-ს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის 10 ჩატარებული სხდომიდან- ვესწრებოდი 8-ს. საანგარიშო პერიოდში კომისიამ აქტიურად იმუშავა მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში შემოსულ ინიციატივაზე - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვ. მაჩხაანი, საქობო, მაშნაარი, ხირსა, ხორნაბუჯი, ყარაღაჯი, ილიაწმინდა) გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდების შესახებ. კომისიის მიერ შემუშავებული გრაფიკით განხორციელდა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა მათთან უშუალო კონსულტაციით ვუზრუნველვყოთ მოქალაქეთა ინტერესის გამოხატვა და აქტიური მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში. ამჟამად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის 16 სოფელში გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდება ფაქტიურად დამთავრებულია.

2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით მოსახლეობის უშუალო ჩართულობით და მათი აზრის გათვალისწინებით ჩემს მაჟორიტარულ ოლქში განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. სოფ. ქვ. მაჩხაანში მოასფალტდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, მიმდინარეობს მისი შემოღობვა;
2. სოფ. ქვ. მაჩხაანში თითქმის დასრულდა წყალმომარაგების პროექტი;
3. სოფ. ტიბაანში, პრასიაანის უბანში მიმდინარეობს სამკილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია;
4. სოფ. ტიბაანში შენდება საბავშვო ბაღი;
5. სოფ. ტიბაანში დასრულდა 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტი.

6. 2024 წლის ოქტომბერში დაიწყო ძველი ანაგა-ტიბაანის დამაკავშირებელი, ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტი ხორციელდება რეგიონული ფონდის დაფინანსებით (2280821 ლარი), რომელიც დასრულდება 2025 წლის მეორე კვარტალში.

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია მოსახლეობის სოციალური დახმარება.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ტიბაანში სამედიცინო დახმარებით ისარგებლა 25 მოქალაქემ - (9960 ლარი), განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარებით ისარგებლა 63 მოქალაქემ – (13280 ლარი).

სოფ. ქვ. მაჩხაანში 250 მოქალაქეს დავეხმარეთ ქირურგიული ოპერაციების დაფინანსებაში და გავეცით ერთჯერადი სოციალური დახმარება.

მადლობას მოგახსენებთ გამოცხადებული ნდობისათვის და იმედი მაქვს შემდეგი წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება განხორციელებული პროექტების თვალსაზრისით.

გოჩა შანშაშვილი